ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის 4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიეცეს თანხმობა, რომ აღნიშნულ საჯარო სკოლას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის **ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის** სახელი.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის №2 საჯარო სკოლას, ასევე საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე **იოსები ქარუმაშვილი**